



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვატკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

27 აპრილი 2023 წელი

N 22/36

ეგზ.: N1

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
	აუდიტის საგანი	7
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	8
	აუდიტის მიზანი	9
	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
დანართები	დანართები	32
	საკონტაქტო ინფორმაცია	33

ტერმინები და შემოკლებები

მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ერთეული თიანეთის მუნიციპალიტეტი.

მერია – თვითმმართველი ერთეულის, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – თვითმმართველი ერთეულის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 29%¹ და 52%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

ინფრასტრუქტურული პროექტები

უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმი ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებას. არსებული მართვის სისტემების გამო, ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დაზიანებულია და საბიუჯეტო სახსრები არაეფექტიანად იხარჯება.

დაუსრულებელი სამუშაოები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება. ხელშეკრულების ფარგლებში შეუსრულებელია 2,643.9 ათასი ლარის სამუშაო, ხოლო ავანსის სახით გაცემული თანხიდან – არ არის დაბრუნებული 115.2 ათასი ლარი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო კუთვნილი 434.0 ათასი ლარი – საჯარიმო და საგარანტიო თანხების სახით. მუნიციპალიტეტს პრობლემების მოსაგვარებლად საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

აუთვისებელი თანხები

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხები მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ გამოიყენა. მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, რომლის ათვისება მიზანშეწონილია გამოყოფის წელს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, რის გამოც ვერ დაკმაყოფილდა გარკვეული სოფლების მოსახლეობის მოთხოვნები და საჭიროებები.

ხარჯთაღრიცხვის შეუსაბამოდ შესრულებული სამუშაოები

შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა ჩაიბარეს ნაკლები მოცულობით და გაზრდილი ერთეულის ღირებულებით შესრულებული სამუშაოები. ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ 16.7 ათასი ლარი შეადგინა.

მიმწოდებლის არასათანადოდ შერჩევა

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ შეისწავლა მიმწოდებლის შესაძლებლობა და უნარი დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად. შედეგად, გარე განათების ოთხი ობიექტიდან ორი შეუსრულებელია, ხოლო დანარჩენი ორი

სტიქიით დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია

სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტები

2019-2021 წლებში სტიქიური მოვლენების შედეგად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვნად დაზიანდა. დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციოდ საქართველოს მთავრობის მიერ თანხების დროულად გამოყოფის მიუხედავად, მერიამ ვერ შეძლო პრობლემების მოგვარება, რაც სამუშაოების არასათანადო დაგეგმვა/განხორციელებაზე მიუთითებს.

ხელშეკრულებების ადმინისტრირება

დაურიცხავი საჯარიმო სანქციები

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ იცავდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არ ატარებდა საკმარის ღონისძიებებს სამუშაოების დროულად დასასრულებლად. მიწოდების ვადები, გაზრდილია დაუსაბუთებლად, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული წარმოშობს რისკს, რომ მუნიციპალიტეტს კონკრეტული მიმწოდებლების მიმართ გააჩნდა სუბიექტური მიდგომა.

მოსახლეობის წყალმომარაგება

წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია. მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება გრაფიკით; მიწოდებული წყლის ხარისხი ფაქტობრივად არ მოწმდება. პრობლემა სისტემური ხასიათისაა, თუმცა მერიას მისი მოგვარების მიზნით სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

დასუფთავების მოსაკრებელი

დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა და ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

¹ ვერ იქნა ათვისებული 2,419.2 ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 3,225.0 ლარი.

³ 2020 წელს - 992.4 ათასი ლარი, 2021 წელს - 2,861.7 ათასი ლარი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განხორციელებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმი. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3: მერიამ: შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები; შეისწავლოს/გამოავლინოს ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჯარიმო და საავანსო თანხების ამოღების პრობლემაზე.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენციას და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია და დააწესოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის დასაფინანსებლად მიღებული თანხების დროულ/მიზნობრივ გამოყენებასა და ნაშთების ათვისებას, შესაფერისი მიმწოდებლების შერჩევასა და სახელშეკრულებო პირობების დაცვას. ამასთანავე, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს სამუშაოების დაგეგმილ ვადებში შესრულებას და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ეფექტიანობის ზრდას.

რეკომენდაცია №5: მერიამ შეიმუშაოს სათანადო სტრატეგია და შესაბამისი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დროულად გამოსწოროს სტიქიით მიყენებული ზიანი. გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მიღებული და აუთვისებელი თანხების მიზნობრივი გამოყენება ან შესაბამის უწყებებთან შემდგომი განკარგვის ფორმების შეთანხმება. ამასთანავე, შესაბამისი სალიკვიდაციო ღონისძიებების

დაგეგმვისას რეალურად განსაზღვროს თანხის საჭიროება და ათვისების შესაძლებლობები.

რეკომენდაცია №6: მერიამ ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების თავიდან აცილებას. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ დასრულებას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

რეკომენდაცია №7: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგების მოწესრიგებასა და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №8: ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

რეკომენდაცია №9: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

რეკომენდაცია №10: მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თიანეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – თიანეთის მუნიციპალიტეტის აუდიტის საგანთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

თიანეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობა. აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვ.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

თიანეთის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 12 ადმინისტრაციულ ერთეულს, 2 დაბას და 86 სოფელს.⁴ თვითმმართველი ერთეულის ფართობია 906 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 10,200 კაცს.⁵ ადმინისტრაციული ცენტრია დაბა თიანეთი.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3,599.5 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის განვითარება⁶ - 9,178.3 ათასი ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვა - 863.7 ათასი ლარი, განათლება - 2,175.4 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი⁷ - 2,418.2 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა⁸ - 1,210.2 ათასი ლარი.

⁴ mreg.reestri.gov.ge

⁵ www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით.

⁶ 2020 წელს პროგრამის სახელწოდება იყო „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“.

⁷ 2020 წელს პროგრამის სახელწოდება იყო „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“.

⁸ 2020 წელს პროგრამის სახელწოდება იყო „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა 2.1.1 ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁹

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: საგზაო ინფრასტრუქტურის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ეზოების, პარკების, გარე განათების, სანიაღვრე სისტემების, ტროტუარების, სპორტული მოედნების მშენებლობა და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.¹⁰

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2020-2021 წლებში – 21,529.1 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 19,445.4 ათასი ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი №1. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წელი			2021 წელი			საკასო შესრულ ებების ჯამი
	დაზუს ტებუ ლი გეგმა	საკასო შესრუ ლება	შეს რუ ლებ ის %	დაზუს ტებულ ი გეგმა	საკასო შესრუ ლება	შეს რუ ლებ ის %	
შემოსულობები	11,343.3	10,814.5	95	9,931.6	10,714.6	108	21,529.1
შემოსავლები	11,333.3	10,803.7	95	9,926.6	10,396.9	105	21,200.6
არაფინანსური აქტივების კლება	10.0	10.8	108	5.0	317.7	6354	328.5
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	14,044.9	10,903.8	78	12,407.6	8,541.6	69	19,445.3
ხარჯები	5,794.0	5,072.0	88	6,198.3	5,557.2	90	10,629.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,210.5	5,791.3	71	6,168.9	2,943.9	48	8,735.2

⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 77, პუნქტები: 8 და 9; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

¹⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

ფინანსური
აქტივების ზრდა
(ნაშთის
დაგროვების
გარდა)

ვალდებულებების კლება	40.5	40.5	100	40.5	40.5	100
-------------------------	------	------	-----	------	------	-----

ნაშთის ცვლილება	-2,701.7	-89.3		-2,476.0	2,173.0	
-----------------	----------	-------	--	----------	---------	--

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღების, წყლის მაგისტრალისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2,716.0 ათასი ლარი. 2020 წელს დაიგეგმა 2,701.7 ათასი ლარის ხარჯვა, თუმცა გამოიყენა მხოლოდ 89.3 ათასი ლარი. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 2,626.7 ათასი ლარის¹¹ ნაშთი, საიდანაც 992.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

2021 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის გამოყენება 2,476.0 ათასი ლარის ოდენობით, მაგრამ დააგროვა 2,173.0 ათასი ლარი. შესაბამისად, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 4,799.7 ათასი ლარი¹² შეადგინა, საიდანაც 2,861.7 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და, ამასთანავე, დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტების განხორციელებას.

¹¹ 2020 წლის მთლიანი საბოლოო ნაშთი შეადგენს წლიური შემოსულობების 24%-ს.

¹² 2021 წლის მთლიანი საბოლოო ნაშთი შეადგენს წლიური შემოსულობების 45%-ს.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები.¹³

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „ქვენიფნელთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სოფლების: ახალსოფლისა და დულუზაურებს შორის შიდა გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 494.0 ათასი ლარი.¹⁴ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებდა შპს „მშენ-ექსპერტის“ წარმომადგენლი.

ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნით დადასტურებულია შპს „ქვენიფნელის“ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ღირებულება და ხარისხი. სამუშაოების ხარისხზე შენიშვნა არ ჰქონია ასევე მუნიციპალიტეტში შექმნილ სამუშაოს მიმღებ ჯგუფს, რის საფუძველზეც მიმწოდებელს აუნაზღაურდა ფორმა №2-ში წარმოდგენილი სამუშაოების ღირებულება.¹⁵

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი.¹⁶ გამოვლინდა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია.¹⁷

გარდა აღნიშნული შემთხვევისა, დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაზიანებულია 2020 წელს რეაბილიტირებული სოფელ ჟებოტის სკვერი, ღირებულებით – 14.8 ათასი ლარი.

აღნიშნული სამუშაო ჩაბარებულია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისიის მიერ, ზედამხედველობის სამსახურისა და სოფლის წარმომადგენლის ხელმოწერების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები ჩაბარებულია სრულად, აუდიტის ჯგუფის მიერ დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ობიექტი დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.¹⁸

ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი დაზიანებები, ძირითადად, რეაბილიტაციის მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენაც საზედამხედველო და საექსპერტო დაწესებულებების ვალდებულება იყო. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

¹³ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

¹⁴ NAT200000604, ხელშეკრულება №15/1.

¹⁵ მუნიციპალიტეტმა ობიექტი ჩაიბარა 2020 წლის 22 მაისს და მიმწოდებელს აუნაზღაურა 467.6 ათასი ლარი.

¹⁶ 2022 წლის 20 მაისი.

¹⁷ მოწყობილი ასფალტბეტონის გზის შუა ნაწილზე, მთლიან სიგრძეზე აღინიშნება ბზარები, ხოლო რამდენიმე მონაკვეთზე დაზიანებები უფრო მნიშვნელოვანია.

¹⁸ სკვერში მოწყობილი ბეტონის საფარი დაზარალებული და აცვენილია.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ჰქონდათ მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით გამოეწორებინა ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები. მუნიციპალიტეტს მიმწოდებლებისთვის ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით არ მიუმართავს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმი ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებას და პროექტების მდგომარეობის შესახებ მერიის დროულ ინფორმირებას. სამუშაოების მონიტორინგის, მიღება-ჩაბარების და საგარანტიო ვადის ეტაპზე არსებული მართვის სისუსტეების გამო, ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმი. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.2.2 დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,¹⁹ გარანტიის მოთხოვნა გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთანავე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდისას მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისად გაზარდოს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოითხოვოს საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურება. საბანკო გარანტიის მოთხოვნა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს შესაბამისი საჯარიმო სანქციების გავრცელებისგან.

მუნიციპალიტეტი ხელშეკრულებების გაფორმებისას, როგორც წესი, ადგენს საჯარიმო სანქციებს პირობების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების შეძენის მიზნით დახარჯა 8,735.2 ათასი ლარი. შემოწმებით გამოვლინდა, რომ შესყიდვის პროცესი მიწოდების პერიოდის დაცვის მხრივ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ხარვეზებით. კერძოდ, რიგ შემთხვევაში მიმწოდებლები ვერ ახერხებდნენ სამუშაოების დროულ დასრულებას, რის გამოც ვადის გაგრძელების მიზნით მიმართავდნენ მერიას (უმეტეს შემთხვევაში – მრავალჯერ). მუნიციპალიტეტი მიწოდების ვადებს ზრდიდა სათანადო დასაბუთების გარეშე, რაც მნიშვნელოვნად

¹⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, მე-2 და 3¹ პუნქტები.

ახანგრძლივებად სამუშაოების დასრულების პროცესს, ხოლო ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა არ დასრულებულა. ამასთანავე, რიგ შემთხვევაში მერია არ იყენებდა კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას და მიმწოდებლებს არ აკისრებდა შესაბამის სანქციებს. შედეგად, დაზიანდა როგორც მუნიციპალიტეტის, ისე მოსახლეობის ინტერესები. მაგალითად:

- 2019 წელს მუნიციპალიტეტმა, შპს „ოთო 2013“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით შეისყიდა²⁰ დაბა თიანეთში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 272.0 ათასი ლარი.²¹ სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2019 წლის 31 დეკემბერს. მშენებლობის პროცესში მიწოდების პერიოდი გაგრძელდა 2-ჯერ და საბოლოო ვადად განისაზღვრა 2020 წლის 15 თებერვალი.²² მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა ვადის გაგრძელების მიზეზები. ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადიდან გასულია 2 წელი და სამუშაოები 2022 წლის ივნისის მდგომარეობითაც დაუსრულებელია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შეასრულა მხოლოდ 156.0 ათასი ლარის (57%) ღირებულების სამუშაო. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები არ დასრულებულა, ავანსად მიღებული თანხიდან 42.1 ათასი ლარი მიმწოდებელს არ დაუბრუნებია. აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტიას, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელს გაეცა საავანსო თანხა, გაუვიდა ვადა.

ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს უნდა დაკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები, თუმცა მუნიციპალიტეტს არც ამ შემთხვევაში გამოუყენებია არსებული შესაძლებლობები. კერძოდ:

- ✓ არ არის დარიცხული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის ოდენობით, რაც 5.8 ათასი ლარს²³ შეადგენს;
- ✓ არ არის დარიცხული გეგმა-გრაფიკის დარღვევაზე განსაზღვრული პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%, რაც 41.3 ათას ლარს შეადგენს;²⁴
- ✓ არ არის მოთხოვნილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა – 13.6 ათასი ლარი. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 2021 წლის 31 იანვრამდე. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რომლითაც მუნიციპალიტეტისაგან ითხოვს სამუშაოების გაგრძელებაზე ნებართვას.²⁵
- 2021 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპთან“, რომელიც ითვალისწინებდა დაბა თიანეთის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებას,²⁶ ღირებულებით –

²⁰ NAT190017980. ხელშეკრულება №102/2, 16.10.2019 წელი.

²¹ 9 აპრილის, რუსთაველის, ნამორადისა და 300 არაგველის ქუჩებზე არსებული ღია სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისა და 9 აპრილის ქუჩის გაგრძელებაზე ახალი სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.

²² ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 1 ივლისამდე.

²³ $271957 - 156035 = 115922 \times 5\% = 5796$ ლარი.

²⁴ $271957 \times 0.1\% \times 152 \text{ დღე} = 41337$ ლარი.

²⁵ ხელშეკრულებას მოქმედების ვადა გაუვიდა 2020 წლის 1 ივლისს.

²⁶ ხაშურის ქუჩა, გრემის ქუჩა, ხაშურის შესახვევი, ჟალეთის ქუჩა, გორის ქუჩა, სააკაძის ქუჩა, მცხეთის ქუჩა, ყაზბეგის ქუჩა, ნამორადისა და ბეწუკელის ქუჩების დაერთება.

1,002.6 ათასი ლარი.²⁷ სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 21 სექტემბრამდე, თუმცა მშენებლობის პროცესში ვადა გაგრძელდა იმავე წლის 21 ოქტომბრამდე. მიმწოდებელმა ვერ დაასრულა სამუშაოები და 2021 წლის 6 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში²⁸ შეასრულა 283.6 ათასი ლარის (28%) სამუშაო. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელს ავანსად მიღებული თანხიდან²⁹ არ დაუბრუნებია 73.1 ათასი ლარი და არც მუნიციპალიტეტს გაუტარებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები თანხის მისაღებად (გასულია 6 თვეზე მეტი). ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო 45.1 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არ არის გადახდილი, ხოლო თანხის მისაღებად მუნიციპალიტეტს სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია.³⁰

- გარდა ამისა, 4 ხელშეკრულების³¹ ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაუსრულებელია 2019 წელს შესყიდული 969.2 ათასი ლარის³² ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები (იხ. დანართი №1). აღნიშნული ხელშეკრულებები შეწყვეტილია, ხოლო მიმწოდებლების მიმართ გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო დარიცხულია პირგასამტეხლოს თანხები, ჯამურად – 293.7 ათასი ლარი,³³ რომელიც არ არის გადახდილი. ასევე: 2 ხელშეკრულების³⁴ ფარგლებში მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის თანხა, რომელიც შეადგენდა 34.5 ათასი ლარს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს დარიცხული და საგარანტიო თანხების მისაღებად შესაბამისი ღონისძიებები არ განუხორციელებია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მერიასა და მიმწოდებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შეუსრულებელია 2,643.9 ათასი ლარის სამუშაო, ხოლო ავანსის სახით გაცემული თანხიდან არ არის დაბრუნებული 115.2 ათასი ლარი.³⁵ გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო კუთვნილი 434.0 ათასი ლარი³⁶ ჯარიმებისა და გამოუყენებელი საბანკო გარანტიის სახით.

მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია. მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ იცავდა საკუთარ ინტერესებს და არ ატარებდა საკმარის და შესაფერის სამართლებრივ ღონისძიებებს მშენებლობების გასაგრძელებლად და კუთვნილი საბიუჯეტო შემოსავლების მისაღებად. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები მოქმედებდნენ მიმწოდებლებთან შეთანხმებით, მათი ინტერესების სასარგებლოდ.

²⁷ NAT210000071. შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპი“, ხელშეკრულება №21/1.

²⁸ 2021 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი.

²⁹ სულ ავანსად გაიცა 203.0 ათასი ლარი.

³⁰ მუნიციპალიტეტმა მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე.

³¹ CMR190177661, CMR190177668, NAT190014287, NAT190014288.

³² ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება – 1,368.9 ათასი ლარი.

³³ მიმწოდებლები - შპს „თნ გრუფი“; შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურების საქართველოს ფილიალი“.

³⁴ CMR190177661, CMR190177668.

³⁵ 42.1+73.1=115.2 ათასი ლარი.

³⁶ 5.8 + 41.3 + 45.1+293.7 ათასი ლარი შეადგენს ჯარიმების თანხას, ხოლო 13.6 + 34.5 ათასი ლარი არის საგარანტიო თანხა.

მერია:

შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;

შეისწავლოს/გამოავლინოს ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პირობის მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჯარიმო და საავანსო თანხების ამოღების პრობლემაზე.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენციას და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

2.2.3 მოუმზადებელი სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: შესყიდვის განხორციელების პროცედურის დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა) წლიური გეგმის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. განსახორციელებელი შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების/გამარტივებული შესყიდვის ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების/დადგენის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2020 წლის 17 სექტემბერს შეისყიდა სოფელ ჩაბანოს საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები საერთო ღირებულებით – 36.0 ათასი ლარი.³⁷

სოფელ ჩაბანოს საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების³⁸ მიმდინარეობისას, შენობას გარე ფასადზე, ფანჯრების ზღუდარებსა და კედლებზე გაუჩნდა ბზარები (აღნიშნული დროისათვის ბაღის რეკონსტრუქციაზე უკვე დახარჯული იყო 20.3 ათასი ლარი). ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირებისათვის მუნიციპალიტეტმა მოიწვია საექსპერტო დაწესებულება.³⁹ ექსპერტის დასკვნის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და საჭიროებს რეაბილიტაციას შესაბამისი აღდგენა-გამლიერების პროექტის მიხედვით. აუდიტის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ობიექტი დაკეტილია და არ ფუნქციონირებს სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო პირობების გამო.⁴⁰

³⁷ NAT200012751.

³⁸ ინტერიერისა და ექსტერიერის რემონტი, საჩრდილობლის მოწყობა, ღობის დასრულების სამუშაოები, შესასვლელი ბილიკისა და სეპტიკის რეაბილიტაცია, გარე წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოები.

³⁹ შპს „მშენ-ექსპერტი“, რომელმაც 2020 წლის 24 ნოემბერს შეადგინა ექსპერტიზის დასკვნა.

⁴⁰ სოფელ ჩაბანოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გადაანაწილეს ახლო მდებარე სოფლის საბავშვო ბაღში.

მერიამ სოფელ ჩაბანოს ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო მოუმზადებლად და არ შეუსწავლია შენობის მდგრადობა. მუნიციპალიტეტს არც ექსპერტიზის დასკვნის შემდგომ დაუგეგმავს/გაუტარებია სათანადო ღონისძიებები საბავშვო ბაღში პრობლემების აღმოსაფხვრელად და სასწავლო პროცესის აღსადგენად. შედეგად, ბაღის რეკონსტრუქციაზე 20.3 ათასი ლარი დაიხარჯა არაეფექტიანად და პროექტის განხორციელების მიზანი მიღწეული არ არის.

2.3 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

ზოგადი მიმოხილვა: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტებს ყოველწლიურად გამოეყოფათ ფულადი სახსრები. დაფინანსება ნაწილდება მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, რომლის შემდეგ მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის სამსახურებთან კოორდინაციით, თავად იღებს გადაწყვეტილებას განსახორციელებელი პროექტის შერჩევის შესახებ. შერჩეული პროექტები, როგორც წესი, ინფრასტრუქტურულია და ეფუძნება სოფლის მოსახლეობის ინტერესებს და საჭიროებებს.

2020-2021 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსების სახით მუნიციპალიტეტს გამოეყო 1,696.0 ათასი ლარი. პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ პროგრამა განხორციელდა სისტემური ხარვეზებით. კერძოდ, მნიშვნელოვანი დარღვევებია კონკრეტული სამუშაოების დაგეგმვის, გამოყოფილი თანხების ათვისების, შესრულებული სამუშაოების სისრულის, კვალიფიციური მიმწოდებლების შერჩევისა და პრიორიტეტული პროექტების განხორციელების ძირითადი მიმართულებებით, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა პროგრამის ეფექტიანობაზე.

2.3.1 აუთენტიკური თანხები

კრიტერიუმი: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პროექტებისთვის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რომლის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.⁴¹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის შემოწმებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების შესყიდვისა და სამუშაოების მიმდინარეობის პროცესები წარმართა გარკვეული ხარვეზებით. შედეგად, რიგი სამუშაოები ვერ განხორციელდა, რამაც გავლენა იქონია გამოყოფილი თანხების ათვისებაზე. კერძოდ:

- 2020 წელს გამოყოფილი 848.0 ათასი ლარიდან აუთენტიკურია და მუნიციპალიტეტს 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხებოდა 64.3 ათასი ლარი (7.6%);

⁴¹ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“, მუხლი 3.

- 2021 წელს გამოყოფილი 848.0 ათასი ლარიდან აუთვისებულია და მუნიციპალიტეტს 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხებოდა 261.3 ათასი ლარი (31%).

თანხების აუთვისებლობის მიზეზია მთელ რიგ სოფლებში დაგეგმილი პროექტების შეუსრულებლობით. კერძოდ, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ზოგიერთ სოფელში დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად ვერ იქნა მოძიებული შესაბამისი მიმწოდებლები.

გარდა ამისა, 70.8 ათასი ლარი დაიხარჯა ისეთ პროექტებზე, რომლებიც არ დასრულებულა. ობიექტის განმარტებით, სამუშაოების დაუსრულებლობის მიზეზია არასაკმარისი ფინანსური რესურსი. აღნიშნული განმარტება ვერ იქნება მისაღები, რადგან მერიას ანგარიშზე გააჩნდა არსებითი მოცულობის აუთვისებული ნაშთები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იყო დაწყებული პროექტების დასრულება. კერძოდ:

ცხრილი №2. 2020-2021 წლებში თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაუსრულებელი სამუშაოების შესახებ.

სამუშაოს დასახელება	გადახდილი თანხა (ათასი ლარი)	ხანგრძლივობა
სოფელ ვეძათხევაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია ⁴²	16.2	2 წელი
სოფელ ზურაბებში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია ⁴³	16.2	2 წელი
სოფელ მაგრანეთში ბუნებრივსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა ⁴⁴	11.6	-
სოფელ ბალებისხევში სპორტული მოედნის მოწყობა ⁴⁵	9.2	-
სოფელ ყუდროში მოსაცდელის აშენება ⁴⁶	7.8	-
სოფელ თრანში გარე განათების მოწყობა ⁴⁷	9.8	-

ასევე დაუსრულებელია 6 სარიტუალო დარბაზის მშენებლობა,⁴⁸ რაზეც გაიხარჯა 140.2 ათასი ლარი, მათ შორის, 3 სარიტუალო დარბაზის⁴⁹ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა 2020 წელს, თუმცა შემდეგ წელს – არ გაგრძელდა.

დასკვნა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხები, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად გამოიყენა. კერძოდ, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, რომლის ათვისებაც მიზანშეწონილია გამოყოფის წელს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ დახარჯულა. შედეგად, დროულად ვერ შესრულდა ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის პირველი რიგის მოთხოვნები და საჭიროებები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი თანხები დახარჯულია ისეთი

⁴² CMR210100173.

⁴³ CMR210101973.

⁴⁴ CMR210106721.

⁴⁵ CMR200112898.

⁴⁶ CMR200129739.

⁴⁷ CMR210033068.

⁴⁸ 2020 წელს - სოფლები: მამადაანები, ჭურჭელაურები, დაბა სიონი, სიმონიანთხევი, გუდანელები. 2021 წელს - სოფელი სიმონიანთხევი.

⁴⁹ სოფლები: მამადაანები, ჭურჭელაურები, დაბა სიონი.

ობიექტების მშენებლობაზე, რომლებიც დაუსრულებელია, ხოლო მათი გაგრძელება არ არის გათვალისწინებული შემდეგ პერიოდებში.

2.3.2 არასრულად შესრულებული სამუშაოები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოები. სამუშაოების შესაბამისობას, მოცულობასა და ხარისხს ამოწმებს და ადასტურებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაოს მიმღები ჯგუფი.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული საშუალებით შესყიდვისას, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.⁵⁰

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2020 წელს გამარტივებული შესყიდვის ფორმით, სოფლებში გზების რეაბილიტაციის მიზნით (მოხრეშვა), გააფორმა 7 ხელშეკრულება,⁵¹ საერთო ღირებულებით – 154.9 ათასი ლარი.

ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, მიმწოდებლებს სოფლებში უნდა შეეტანათ 7 555 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი და ჯამურად მოეხრეშათ 29 319 კვ.მ ფართის გზა. ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ მიმწოდებლების მიერ სამუშაოები შესრულებულია არასრულად. კერძოდ, ნაცვლად 7 555 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევისა, სოფლებში შეტანილია 5 753 კუბ.მ, ანუ 1 802 კუბ.მ-ით ნაკლები, ხოლო მოსახრეში 29 319 კვ.მ ფართის ნაცვლად მოიხრეშა 22 271 კვ.მ, 7 048 კვ.მ-ით ნაკლები. მიუხედავად სამუშაოების არასრულად შესრულებისა, სამუშაოს მიმღებმა ჯგუფმა სამუშაო ჩაიბარა და ღირებულება ანაზღაურებულია სრულად. წარმოდგენილი დოკუმენტებით შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ მიმწოდებლებმა, მუნიციპალიტეტთან შეთანხმების გარეშე 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი მასალის ღირებულება – 4.24 ლარი, შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა №2) გაზარდეს 8.47 ლარამდე.

მერიას არ უნდა დაეშვა მასალის ერთეულის ფასის ზრდა და სამუშაოების ღირებულება უნდა აენაზღაურებინა ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში მითითებული ფასის შესაბამისად. შედეგად დაირღვა შემსყიდველის ინტერესები და მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურდა 16.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, რეალურად რამდენი ქვიშა-ხრეშოვანი მასალა იქნა შეტანილი და რამდენი კვ.მ ფართი მოიხრეშა, რადგან მუნიციპალიტეტის მიერ არ იყო შექმნილი შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგს გაუწევდა სამუშაო პროცესს და აღრიცხავდა შეტანილი მასალების და მოხრეშილი ფართის საერთო რაოდენობას.⁵²

დასკვნა

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა ჩაიბარეს ნაკლები მოცულობით და გაზარდილი ერთეულის ღირებულებით შესრულებული სამუშაოები. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლის სუსტი

⁵⁰ ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით) პუნქტი 3, „გ“ ქვეპუნქტი.

⁵¹ შპს „ენერჯი გრუპთან“ - 6 (CMR200092950; CMR200092953; CMR200092956; CMR200092957; CMR200092958; CMR200093710), ი/მ გოგა წივილაშვილთან - 1 ხელშეკრულება (CMR200132177).

⁵² სამუშაოების შესრულებიდან გასულია ორი წელი, რის გამოც აუდიტის ჯგუფი ვერ ადგენს შესრულების რეალურ მოცულობებს.

2.3.3 მიმწოდებლის არასათანადო შერჩევა

მექანიზმების გამო, გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ სულ 16.7 ათასი ლარი შეადგინა.

კრიტერიუმი: შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ფორმით.⁵³ არსებული პრაქტიკით, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თვითონ ირჩევს მიმწოდებელს, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოს მისი კვალიფიკაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამუშაოს შესრულების უნარი და სხვ.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობის მიზნით, 2020 წელს გამარტივებული შესყიდვის ფორმით, შპს „ელექტროტექნოლოგიების ჯგუფთან“ დაიდო ოთხი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 49.7 ათასი ლარი. სამუშაოების შესყიდვის პროცესის შემოწმებით გამოვლინდა გარკვეული დარღვევა-ნაკლოვანებები, კერძოდ:

პირველი ხელშეკრულება⁵⁴ მიმწოდებელთან გაფორმდა 2020 წლის 11 აგვისტოს. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 20 ოქტომბერი. ხელშეკრულების ცვლილებით,⁵⁵ მიწოდების ვადა გაგრძელდა 20 ნოემბრამდე, თუმცა სამუშაოები ამ ვადაშიც ვერ დასრულდა.

პირველი ხელშეკრულების შეუსრულებლობის პირობებში, ისე, რომ სამუშაოები არც დაწყებულა, 2020 წლის 7 ოქტომბერს იმავე მიმწოდებელთან გაფორმდა მეორე ხელშეკრულება,⁵⁶ ღირებულებით – 8.2 ათასი ლარი. 20 ნოემბრის ნაცვლად სამუშაოები დასრულდა 2021 წლის 18 თებერვალს (სამი თვის დაგვიანებით).

2020 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით, მიმწოდებელს შეუსრულებელი ჰქონდა ორივე ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, მერიამ დამატებით გაუფორმა კიდევ ორი ხელშეკრულება.⁵⁷ ერთ შემთხვევაში მიმწოდებელმა სამუშაოები ვერ დაასრულა, ხოლო მეორე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა ორი თვის დაგვიანებით, კერძოდ, 2021 წლის 19 თებერვალს.⁵⁸

დასკვნა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ შეისწავლა მიმწოდებლის შესაძლებლობა და უნარი დაგეგმილი პროექტების განხორციელების მხრივ. გარდა ამისა, როცა მერიას უკვე ჰქონდა სათანადო ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების დაუსრულებლობის შესახებ, საკუთარი ინტერესების საზიანოდ მომწოდებელთან ისევ გააფორმა ხელშეკრულებები. ამასთანავე, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით, მერიას შესყიდვების სააგენტოსთვის არ მიუმართავს.

⁵³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 10¹, პუნქტი 3.

⁵⁴ CMR200098714. სახელშეკრულებო ღირებულება - 16.4 ათასი ლარი.

⁵⁵ ვადის გაგრძელების მიზეზად მითითებულია ელექტრობომების უზარისხოება.

⁵⁶ CMR200119741. სახელშეკრულებო ღირებულება - 8.2 ათასი ლარი.

⁵⁷ CMR200138525. სახელშეკრულებო ღირებულება - 16.8 ათასი ლარი და CMR200138529 სახელშეკრულებო ღირებულება - 8.4 ათასი ლარი.

⁵⁸ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სამუშაოების დაგვიანებით შესრულებაზე დაარიცხა პირგასამტეხლო, რომელიც გადახდილია.

მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია და დააწესოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის დასაფინანსებლად მიღებული თანხების დროულ/მიზნობრივ გამოყენებასა და ნაშთების ათვისებას, შესაფერისი მიმწოდებლების შერჩევასა და სახელშეკრულებო პირობების დაცვას. ამასთანავე, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს სამუშაოების დაგეგმილ ვადებში შესრულებას და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ეფექტიანობის ზრდას.

2.4 სტიქიით დაზიანებული ობიექტების

რეაბილიტაცია

2.4.1 დაზიანებული

ობიექტების

რეაბილიტაციის ხარჯეზები

კრიტერიუმი: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობისგან თანხების გამოყოფის მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის გათვლებს და რეალურ საჭიროებას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2021 წლებში თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექებისა და ღვარცოფების შედეგად ზიანი მიადგა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს (სულ – 3 შემთხვევა). კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაზიანდა შიდა გზები და მდინარეებზე არსებული ნაპირსამაგრი გაბიონები. სტიქიით მიღებული ზარალის შესახებ მუნიციპალიტეტი აცნობებდა საქართველოს მთავრობას და დაზიანებული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის ითხოვდა ფულადი სახსრების გამოყოფას. მუნიციპალიტეტს სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს მთავრობიდან 2019-2020 წლებში მიღებული აქვს სულ – 1,480.0 ათასი ლარი.⁵⁹

მიღებული სახსრების ხარჯვის შემოწმებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებდა დაზიანებული ობიექტების სრულად რეაბილიტაციას და, შესაბამისად, მის მიერვე მოთხოვნილი ფულადი სახსრების ათვისებას. აუდიტის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტს სპეციალური ტრანსფერიდან ნაშთად ერიცხებოდა 465.6 ათასი ლარი, კერძოდ:

- 2019 წლის 12 თებერვალს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტს გამოეყო – 680.0 ათასი ლარი.⁶⁰ აღნიშნული თანხიდან მუნიციპალიტეტმა პრობლემის მოსაგვარებლად 2019-2021 წლებში დახარჯა მხოლოდ – 103.3 ათასი ლარი.⁶¹
- საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2021 წლის მუნიციპალიტეტს ნება დაერთო ანგარიშზე რიცხული ნაშთიდან – 309.4 ათასი ლარი, გამოეყენებინა 2021 წელს სტიქიით დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციოდ.⁶² მუნიციპალიტეტს ამ თანხიდანაც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხებოდა 226.3 ათასი ლარი.⁶³

⁵⁹ 2021 წლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტს ნება დაერთო გამოეყენებინა 2019 წელს გამოყოფილი თანხები.

⁶⁰ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის №215 განკარგულება.

⁶¹ 2022 წლის 23 მარტის მდგომარეობით ათვისებულია 267.3 ათასი ლარი.

⁶² საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივლისის №1301 განკარგულება.

⁶³ 2022 წლის 23 მარტის მდგომარეობით ათვისებულია 119.4 ათასი ლარი.

- 2019 წლის 6 ივნისს,⁶⁴ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტს გამოეყო 800.0 ათასი ლარი. მიღებული თანხიდან აუთვისებელია 78.9 ათასი ლარი.

დოკუმენტების მიხედვით, ფულადი ნაშთის არსებობა ძირითადად გამოწვეულია სოფლებში: ჟებოტასა და ჭურჭელაურებში სტიქიით დაზიანებული საავტომობილო გზების (3.52 კმ) რეაბილიტაციის შეუსრულებლობით. კერძოდ, მიმწოდებელმა არ შეასრულა სამუშაოები, რის გამოც ხელშეკრულებები შეწყდა,⁶⁵ ხოლო შემდეგ პერიოდში სხვა შესყიდვა არ განხორციელებულა.

დასკვნა

2019-2021 წლებში სტიქიების შედეგად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტები მნიშვნელოვნად დაზიანდა, რითაც პრობლემები შეექმნა მოსახლეობას. მიღებული დაფინანსების მიუხედავად, მერიამ სათანადოდ ვერ დაგეგმა/განახორციელა საჭირო სამუშაოები და ვერ დახარჯა თანხის 31%. შედეგად, სტიქიით მიყენებული ზიანის ნაწილი გამოუსწორებელია, სათანადო ფულადი რესურსის არსებობის მიუხედავად.

რეკომენდაცია №5

მერიამ შეიმუშაოს სათანადო სტრატეგია და შესაბამისი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დროულად გამოსწოროს სტიქიით მიყენებული ზიანი. გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მიღებული და აუთვისებელი თანხების მიზნობრივი გამოყენება ან შესაბამის უწყებებთან შემდგომი განკარგვის ფორმების შეთანხმება. ამასთანავე, შესაბამისი სალიკვიდაციო ღონისძიებების დაგეგმვისას რეალურად განსაზღვროს თანხის საჭიროება და ათვისების შესაძლებლობები.

2.5 ხელშეკრულებების ადმინისტრირება 2.5.1 დაურიცხავი პირგასამტეხლოს თანხები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად,⁶⁶ შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრება საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁶⁷ სამუშაოების დასრულების ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.⁶⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის შესყიდვისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესი მერიამ ზოგ შემთხვევაში წარმართა ხარვეზებით. კერძოდ, მერია არაობიექტურად ზრდიდა ობიექტის მიწოდების ვადებს და, შესაბამისად, სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისთვის არ იყენებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს.

⁶⁴ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 ივნისის №1308 განკარგულება.

⁶⁵ 2020 წლის 16 ივლისს შეწყდა 2 ხელშეკრულება (NAT190014287, NAT190014288).

⁶⁶ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, მუხლი 33.

⁶⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21, პუნქტი 5.

⁶⁸ მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, სამუშაოების დასრულების ვადის ზრდის მიზეზებად ძირითადად დასახელებულია არახელსაყრელი კლიმატური პირობები. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები უამინდობის მოტივით გაიზარდა 5 ხელშეკრულების შემთხვევაში,⁶⁹ ღირებულებით – 1,630.8 ათასი ლარი. ხელშეკრულებების ცვლილებების საფუძველია სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობები ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო დაწესებულებების მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს ნალექიან დღეებსაც. მუნიციპალიტეტი შესყიდვის პროცედურას ატარებს აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, რომელსაც ეთანხმება პრეტენდენტიც. გარდა ამისა, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ცნობები შეიცავს მონაცემებს კონკრეტულ პერიოდში ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ და არ მიუთითებს, რომ ეს მონაცემები აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს და ფორსმაჟორულია. ამდენად, მიწოდების ვადის გადაწევის რეალური მიზეზი იყო სამუშაოების არასათანადო შესრულება. ნაცვლად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს განეხორციელებინა შესაბამისი რეაგირება, მიმწოდებლებს არაობიექტურად უხანგრძლივებდა სამუშაოების შესრულების ვადებს და არ იყენებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას. მაგალითად, 2020 წელს, სოფლების: ნაქალაქარის, ჩაბანოს და ახალსოფლის საბავშვო ბაღების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებელს⁷⁰ კლიმატური პირობების გამო, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე, 2-ჯერ გაუგრძელდა ვადა, სულ – 58 დღით.

იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტი არ შეცვლიდა ხელშეკრულებების პირობებს, მიმწოდებლებს 5 ხელშეკრულების ფარგლებში დაერიცხებოდა პირგასამტეხლო, სულ – 86.1 ათასი ლარის ოდენობით (იხ. დანართი №2).

გარდა აღნიშნულისა, დაბა თიანეთში შიდა გზების რეაბილიტაციის მიზნით 2021 წელს ხელშეკრულება გაფორმდა შპს „გზები და კეთილმოწყობასთან“, ღირებულებით – 1,276.3 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2022 წლის 5 იანვრამდე, თუმცა მიმწოდებელს პერიოდულად უგრძელდება დასრულების ვადა. შედეგად, სამუშაოები მიმდინარე პერიოდშიც დაუსრულებელია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ იცავდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არ ატარებდა საკმარის ღონისძიებებს სამუშაოების დროულად დასასრულებლად. მიწოდების ვადები გაზრდილია დაუსაბუთებლად, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული წარმოშობს რისკს, რომ მუნიციპალიტეტს კონკრეტული მიმწოდებლების მიმართ გააჩნდა სუბიექტური მიდგომა.

რეკომენდაცია №6

მერიამ ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების თავიდან აცილებას. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს

⁶⁹ NAT210000069, NAT210000070, NAT210000072, NAT200006634, NAT200012751.

⁷⁰ NAT200012751. სს „XXI საუკუნე“.

2.6 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

2.6.1 გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

კრიტერიუმი: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ძირითადი მიზანია განისაზღვროს იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო სამუშაოები, რომელთა წარმატებით განხორციელების შედეგად მოსახლეობას დროულად მიეწოდება ხარისხიანი მუნიციპალური სერვისები.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.⁷¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში შეისყიდა 184.9 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის. აქედან, 132.1 ათასი ლარის ღირებულების 5 პროექტის გამოყენების მიზნით, მერიას 2020-2021 წლებში შესყიდვები არ განუხორციელებია. აღნიშნული დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო 14,384.7 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების სამშენებლო სამუშაოების მიწოდება, მაგალითად:

- მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 2020 წლის განმავლობაში საავტომობილო გზების, ნაპირდამცავი ან/და ნაპირსამაგრი ნაგებობების, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელშიც გადაიხადა 14.5 ათასი ლარი და შესაბამისი შესყიდვა არ განხორციელებულა. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4,478.8 ათას ლარს;⁷²
- მუნიციპალიტეტს ასევე არ გამოუყენებია 36.0 ათასი ლარად შეძენილი შენობა-ნაგებობების მშენებლობის, ასევე სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო 1,515.3 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება.⁷³

არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და, შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოუყენებლობის მიზეზია არასაკმარისი ფინანსური რესურსი. აღნიშნული პოზიციით მუნიციპალიტეტი ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის ეტაპი ხორციელდება ხარვეზებით. კერძოდ, მუნიციპალიტეტს აღნიშნულ ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ განუხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. ამასთანავე, წარმოდგენილი არგუმენტი შეუსაბამოა, რადგან მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

⁷¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁷² NAT200003869.

⁷³ NAT200003870.

ფინანსური აქტივების მართვის ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა გასწია 132.1 ათასი ლარის არაფექტიანი ხარჯი და შეისყიდა ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. გარდა ამისა, არ განხორციელდა არსებითი ღირებულების სამშენებლო სამუშაოები.

2.7 მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა

2.7.1 წყალმომარაგებაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.⁷⁴ კანონმდებლობის მიხედვით,⁷⁵ სასმელი წყალი უნდა იყოს უვნებელი. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფაქტობრივი გარემოება: საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთის, დაბა სიონისა და სოფელ ჭურჭელაურების მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფდა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. დანარჩენ 85 სოფელში მცხოვრები 4,678 ოჯახიდან, 2,961 ოჯახს წყალი მიეწოდებოდა მუდმივად, 1,667 ოჯახს – გრაფიკით, ხოლო 9 სოფლის 50 ოჯახისათვის წყლის სისტემები არ არის მოწყობილი (სარგებლობენ ბუნებრივი წყაროებით). მოსახლეობის წყალმომარაგების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – თიანეთის წყალი, რომელიც არ ფლობს კანონით განსაზღვრულ ლიცენზიას. 2020-2021 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სულ გაწეულია 1,159.8 ათასი ლარის ხარჯი.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სასმელი წყლის პერიოდულ ლაბორატორიულ კვლევას და სოფლის მოსახლეობაზე მიწოდებული წყლის ხარისხი არ მოწმდება.

წყლის ხარისხი მოწმდება სასმელი წყლის სისტემის მოწყობისას სამუშაოების დასრულების დროს ერთჯერადად. 2020-2021 წლებში, სულ 7 სოფელში ჩატარებული ასეთი ლაბორატორიული კვლევებიდან, სამ შემთხვევაში გამოვლინდა, რომ წყლის სასმელად გამოყენება შეუძლებელია.⁷⁶

დასკვნა

მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს წყლის სისტემების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი შეფერხებით მიეწოდება: მიწოდებული წყლის ხარისხი ფაქტობრივად არ მოწმდება, რაც სისტემური ხასიათისაა, თუმცა მერიას მისი მოგვარების მიზნით სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №7

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით დაგეგმოს და განხორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს

⁷⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁷⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1, მე-5 და მე-6 პუნქტები.

⁷⁶ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ამ ჭაბურღილებიდან მოსახლეობა წყალს იყენებს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, ხოლო სასმელ წყალს იღებენ ადგილობრივი წყაროებიდან.

წყალმომარაგების მოწესრიგებასა და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.8 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

2.8.1 დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁷⁷

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგენილებით⁷⁸ დააწესა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი. დადგენილების შესაბამისად, მერია ვალდებულია უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება.

ფაქტობრივი გარემოება: დასუფთავების მოსაკრებლის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ 2020 წელს – 7.8 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს – 11.0 ათასი ლარი შეადგინა. წარმოდგენილი მონაცემებით, მიღებული თანხები ძირითადად გადახდილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ. კერძოდ, იურიდიული პირების წილი 2020 წელს მიღებულ შემოსავალში შეადგენს 82%-ს, ხოლო 2021 წელს – 65%-ს.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზა, რის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლის სრული აღრიცხვა. შედეგად, მუნიციპალიტეტში არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბიუჯეტით პროგნოზირებული დასუფთავების მოსაკრებელი განსაზღვრულია წინა წლებში მიღებული თანხის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა შესაძლებელია სუბიექტური იყოს და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გადამხდელი იურიდიული და ფიზიკური პირების სრულად აღრიცხვისას მისაღები შემოსავლებისაგან.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა და ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №8

მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება, ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს

⁷⁷ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

⁷⁸ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის №41 დადგენილება.

მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

2.9 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.9.1 ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებული ხარჯეზები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,⁷⁹ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 5 სამორიგეო ავტომანქანა.

ფაქტობრივი გარემოება: თიანეთის მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს მერიასა და საკრებულოში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი,⁸⁰ რომელიც შეესაბამება საქართველოს მთავრობის დადგენილების კრიტერიუმებს, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული მის მიერვე მიღებული წესის მოთხოვნები. 2020-2021 წლებში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატებოდა დადგენილ ზღვრულ რაოდენობას. კერძოდ, ნაცვლად 5 სამორიგეო მანქანისა, მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 6 სამორიგეო მანქანით. გარდა ამისა, 2020 წელს იყენებდა დასაქმებულთა კერძო საკუთრებაში არსებულ 40, ხოლო 2021 წელს – 47 ავტომანქანას.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, თიანეთის მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში ავტომანქანებზე გახარჯა სულ 266.9 ათასი ლარის ღირებულების 124.7 ტონა საწვავი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით.

2.9.2 საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,⁸¹ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიხედვით,⁸² საკრებულოს წევრს (არათანამდებობის პირი) შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის საჭირო დახარჯები.

კანონმდებლობის შესაბამისად,⁸³ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია დოკუმენტის

⁷⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 2, პუნქტი 2; მუხლი 5, პირველი და მე-2 პუნქტები.

⁸⁰ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №9 დადგენილება „თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

⁸¹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁸² თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №26 დადგენილება, მუხლი 3.

⁸³ 2020 წლამდე – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5; 2021 წლიდან – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №180 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“, მუხლი 7.

დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2020-2021 წლებში უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სახით, სულ მიღებული აქვთ 65.1 ათასი ლარი.⁸⁴ ხარჯები გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე.⁸⁵ კერძოდ, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განისაზღვრა ყოველთვიურად საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის არაუმეტეს 15%.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებთ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა ბენზინგასამართი სადგურების მიერ გაცემული სალარო აპარატის ჩეკები, რომელთა ჯამური ფასი ფარავს საკრებულოს წევრებზე გაცემულ სრულ თანხას. ასევე წარმოდგენილია მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები, რომლებიც ხელმოწერილია მხოლოდ თანხის მიმღები საკრებულოს წევრების მიერ. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საკრებულოს წევრების მიერ შეძენილი საწვავის მოცულობა (აღნიშნული მოცულობის საწვავით გასავლელი მანძილი) მნიშვნელოვნად აღემატება, საქმიანობის განსახორციელებლად (მოსახლეობასთან შესახვედრად) განვლილ მანძილს, ხოლო ოქმები არ არის დადასტურებული შეხვედრებში მონაწილე სხვა პირების მიერ. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირები) 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 65.1 ათასი ლარი გასცა სრულყოფილი დოკუმენტური მტკიცებულებების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.10 აქტივების მართვა

2.10.1 ინვენტარიზაციის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁸⁶ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის

⁸⁴ 2020 წელს - 33.9 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს - 31.2 ათასი ლარი.

⁸⁵ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №26 დადგენილება.

⁸⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში თიანეთის მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ორივე წლისათვის მერის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ინვენტარიზაციის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობებისა და ძირითადი ქონების მხოლოდ აღწერა ჩაატარა. შედეგად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა არ არის შედარებული ბუღალტრულ მონაცემებთან და გამოყვანილი არ არის ინვენტარიზაციის შედეგები. აღნიშნული მიუთითებს, რომ ორგანიზაციას სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული აქტივების, მატერიალური მარაგების, ასევე მცირეფასიანი აქტივების მოძრაობაზე; არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების ფაქტობრივი მაჩვენებლების, ბალანსზე რიცხული აქტივებისა და ვალდებულებების საადრიცხვო მონაცემებთან შედარების, ზედმეტობისა თუ დანაკლისის გამოვლენის შესახებ.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №9

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის საადრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

2.11 შიდა კონტროლის სისტემა

2.11.1 შიდა აუდიტის საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახური ეხმარება მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც განსაზღვრა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვისათვის. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, სამსახურმა შეისწავლოს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, შეაფასოს შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.⁸⁷

⁸⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 18.

შიდა აუდიტის სამსახურის უპირველესი ფუნქციაა სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.⁸⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში თიანეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ ჩატარდა 9 აუდიტორული შემოწმება.⁸⁹ აუდიტების ფარგლებში შემოწმებულია მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ები და შესწავლილი არ არის მერიის არც ერთი სამსახურის საქმიანობა. აუდიტების საშუალებით გამოვლენილი სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები, თუმცა მათი უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა და არ არის მიმართული ხარვეზების გამომწვევ მიზეზებზე. კერძოდ, რეკომენდაციები ძირითადად მიმართულია საკანონმდებლო ნორმების დაცვისკენ,⁹⁰ რაც არ შეესაბამება რეკომენდაციის შემუშავებისა და გაცემის მიზნებს.

სამსახურს არ განუხორციელებია შემოწმებული ობიექტების, ასევე მუნიციპალიტეტის კონტროლის მექანიზმებისა და საქმიანობის რისკების შეფასების სათანადო პროცედურები და სისტემური დარღვევების იდენტიფიცირება, რაც გააუმჯობესებდა ობიექტების საქმიანობას.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუფასებია: შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება; დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №10

მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2.12 წინა პერიოდში ჩატარებულიაუდიტის შედეგები

ფაქტობრივი გარემოება: სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წელს ჩატარა თიანეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით

⁸⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 15.

⁸⁹ 2020 წელს ჩატარდა 4, ხოლო 2021 წელს - 5 აუდიტორული შემოწმება.

⁹⁰ 2020-2021 წლებში სულ გაცემულია 23 რეკომენდაცია.

დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რომელიც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტს კვლავ გააჩნია საკუთარ ანგარიშზე არსებითი მოცულობის ნაშთები;
- ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის არ დარიცხულა პირგასამტეხლოები;
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესი კვლავ მნიშვნელოვანი ხარვეზებით/კანონდარღვევით მიმდინარეობს;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;
- არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;
- შიდა აუდიტის სამსახური ვერ უზრუნველყოფს მერიის საქმიანობის გაუმჯობესებას, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის

აუდიტორები

ხელმოწერა

ბადრი ჯანჯღავა

მთავარი აუდიტორი

ლალი ამბროლაძე

უფროსი აუდიტორი

პაატა კუბლაშვილი

აუდიტორი

გიგა დალაქიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი

დანართი №1.

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

მიმწოდებელი	შესყიდვის ნომერი	სახელშეკრულებო თანხა	საგარანტიო თანხა
შპს „თნ გრუფი“	CMR190177661	333724	16686
შპს „თნ გრუფი“	CMR190177668	356076	17804
შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურების საქართველოს ფილიალი“	NAT190014287	353126	17656
შპს „აგტ სამენეჯმენტო, საკონსულტაციო და სამშენებლო მომსახურების საქართველოს ფილიალი“	NAT190014288	325939	16297

დანართი №2.

დასარიცხი საჯარიმო სანქციები

სამუშაოს დასახელება	შესყიდვის ნომერი	მიმწოდებელი	დასარიცხი პირგასამტებლო
სოფლების: ახალსოფლისა და დოლუზაურებს შორის დამაკავშირებელი შიდა გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები (II ეტაპი)	NAT200006634	შპს „გერალი“	$801812 \times 0.1\% = 801 \times 11 = 8811$
სოფლების ნაქალაქარის, ჩაბანოს და ახალსოფლის საზღვრულ ბაღების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები	NAT200012751	სს „XXI საუკუნე“	$73916 \times 0.1\% = 73.9 \times 58 = 4286$
სოფ. თოლენჯის ჭაბურღილისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები	NAT210000069	შპს „თერგი“	$346690 \times 0.1\% = 346 \times 59 = 20454$
სოფ. სიმონიანთხევის ჭაბურღილისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	NAT210000070	შპს „თერგი“	$327278 \times 0.1\% = 327 \times 59 = 19309$
სოფლებში ტუშურებში, მამადაანებში და ლელოვანში არტეზიული ჭის ცენტრალური მაგისტრალისა და შესაბამისი ქსელის მოწყობის სამუშაოები	NAT210000072	შპს „თერგი“	$338892 \times 0.1\% = 339 \times 98 = 33211$

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE